ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №952

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო *2016 წლის* ,,21" ნოემბერს, ქ. თბილისში

შემსყიდველი – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის

სარდლის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკ იოსებ ლოლაძის სახით

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

მისამართი: ----------

ს/კ 202364164

საბანკო რეკვიზიტები: ----------

მომწოდებელი – შპს :ლედ ლაითი", დირექტორი ემზარ ხინჩაგიშვილი.

მისამართი - *ქ. თბილისი, ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს, მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის მდებარე მაღაზია №45*

ტელეფონი ხელმძღვანელის: *599-43-55-77*

საბანკო რეკვიზიტები -- სს" საქართველოს ბანკი", ა.ა. **GE34BG0000000**707757400 *ს/კ 18001011832*

ს/კ400091404

საფუძველი -- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 22.01.2016 წლის №40 ბრძანება. ჯ.ლ.უ.ს-ის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზის უფროსის 21.11.2016 წლის№4780 განაცხადი.

ერთის მხრივ – შემსყიდველი, და მეორეს მხრივ – მომწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მომწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობებისა და ფასების ცხრილში აღნიშნული ხარისხის, რაოდენობის და ფასის შესაბამისად:

ს ა მ ე ურ ნ ე ო

(საქონლის მოკლე აღწერა)

1.2 ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია №1 დანართში (ფასების ცხრილი).

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს:

2000 (ორიათასი) ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.3 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მომწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

2.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. მიწოდების წესი

3.1 შესყიდული საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით,

3.2 მომწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი თანმხლები დოკუმენტაცია და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

3.3 შემსყიდველი უფლებამოსილია საჭირეობის შემთხვევაში, საქონლის მიღების დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს.
3.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის პარტიის მიღებაზე, თუ იგი უხარისხოა, ან არ იქნება წარმოდგენილი თანხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით, ან დარღვეული იქნება მიწოდების ვადები, ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
3.5 საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით: მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა და/ან სხვა დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას მიმწოდებლისაგან შემსყიდველზე.
3.6 ამ ხელშეკრულების 3.5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მომწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
3.7 მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, არაუგვიანეს 1(ერთი) სამუშაო დღისა.

4. *ანგარიშსწორების წესი*

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მომწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულება, საქონლის გადაცემის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად, არაუგვიანეს 20(ოცი) სამუშაო დღისა.
4.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
4.3 გადახდის ფორმა ნაღდი ან უნაღდო (ხაზი გაესვას).
4.4 საქონლის გადაცემის თარიღად ითვლება, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

5. *მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა*

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
5.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მომწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.
5.3 თუ მომწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული საურავების ჯამური თანხა გადააჭარბებს მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%–ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მომწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან დარჩენილი მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%-ის ოდენობით.
5.4 თუ მომწოდებელი განაცხადებს არამოტივირებულ უარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2%.

6. *სხვა პირობები*

6.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და წყდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთანავე. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 20 დეკემბრამდე.
6.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.
6.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
6.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
6.5 ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.
მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს

წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა

და წელს.

შემსყიდველის მხრიდან

ი. ლოლაძე

მომწოდებლის მხრიდან

ე.ხინჩაგიშვილი

დანართი 1

2016 წლის ,,21" ნოემბრის N 952 ხელშეკრულებასთან ფასების ცხრილი

N	მატერიალურ ფასეულობათა დასახელება	სპვ კოდი	ზ/ე	რაოდენ ობა	ე/ფ (ლარი)	სულ (ლარი)
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*
1	ქუჩის სანათის დროსელი 90 ვტ(სანათით).	31681100	ცალი	40.0	50.00	2000.00
	სულ:					**2000.00**

შემსყიდველის მხრიდან

ი. ლოლაძე

მომწოდებლის მხრიდან

ე. ხინჩაგიშვილი

მიღება ჩაბარების აქტი N952

"21" ნოემბერი 2016 წ *ქ. თბილისი*

ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის დაგეგმბის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ს/პ რ.ჯანელიძე და მეორის მხრივ შპს. ,,ლედ ლაითი" დირექტორი ემზარ ხინჩაგიშვილი ვადასტურებთ, რომ 2016 წლის"21"ნოემბრის N952 ხელშეკრულების პირობების თანახმად მომწოდებელმა ე. ხინჩაგიშვილმა გადასცა და რ.ჯანელიძემ 2016 წლის "21" ნოემბერს მიიღო:

N	მატერიალურ ფასეულობათა დასახელება	სპვ კოდი	ზ/ე	რაოდენობა	ე/ფ (ლარი)	სულ (ლარი)
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*
1	ქუჩის სანათის დროსული 90ვტ.(სანათით).	31681100	ცალი	40,0	50.00	2000.00
	სულ:					**2000.00**

შემსყიდველის მხრიდან

რ.ჯანელიძე

მომწოდებლის მხრიდან

ე. ხინჩაგიშვილი

N952 მიღება ჩაბარების აქტში აღრიცხული მატერიალურ ფასეულობანი გადაეცა

(ს/ნ ან ბაზის დასახელება)

აყვანილია შემოსავალში და გატარებულია ----------

(ს/ნ ან ბაზის განყოფილება; წიგნი N; გვ. N.)

(ს/ნ ან ბაზის განყოფილების უფროსის, ბუღალტრის, საწყობის უფროსის ხელმოწერა და ბეჭედი)